# ხელშეკრულება საქონლის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 166.

კლასიფიკატორის კოდი: 39100000, 39500000, 18300000, 39200000, 15800000, 15900000.

ქ. თელავი                                                                                    17 ოქტომბერი 2011წ.

ჩვენ ქვემოთ ხელისმომწერნი: ერთის მხრივ თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ადმინისტრაციის უფროსის ჰამლეტ რაზმაძის სახით, შემდგომში „შემსყიდველი" ს.ნ. 231187168, ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქ. № 1და მეორეს მხრივ შ.პ.ს. „თელავი ჯგუფი" დირექტორი გოდერძი მამუკელაშვილი, ს/ნ. 231289496. ქ. თელავი, ალაზნის გამზირი № 4. შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების საგანი.

1.1 ხელშეკრულება იდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის გზით და მისი საგანია: ლეიბის, საბნის, ბალიშის, ადიელის, გადასაფარებლის, პირსახოცის, თეთრეულის, ხელსაწმენდის, სხვადასხვა საკვები პროდუქტების და სასმელების შესყიდვა.

## 2. ხელშეკრულების ობიექტი.

2.1. „მიმწოდებელი" ვალდებულებას კისრულობს „შემსყიდველის" მოთხოვნის შესაბამისად, „შემსყიდველს" მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი.

## 3. შესასყიდი საქონლის მიწოდების ვადები და ადგილი.

3.1. საქონლის მიწოდების თარიღად ითვლება მისი ფაქტიური გადაცემა.

3.2. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ.თელავი, ალაზნის გამზირი № 4.

## 4. შესასყიდი საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1. შესასყიდი საქონელი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო საანგარიშსწორებო დოკუმენტების (სასაქონლო ზედდებული და/ან საგადასახადო ანგარიშ- ფაქტურა) გამოწერის შემდეგ.

4.2.შესასყიდი საქონლის (მისი ნაწილის,ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი".

4.3.„შემსყიდველი" ვალდებულია წერილობით ერთჯერადად მიაწოდოს „მიმწოდებელს" შესასყიდი საქონლის ნუსხა და მიწოდების ვადები, იმ პირობით, რომ „მიმწოდებელს" ქონდეს საჭირო დრო საქონლის მისაწოდებლად.

## 5. მხარეთა უფლება მოვალეობები

5.1. „შემსყიდველი" ვალდებულია:

–გადაუხადოს „მიმწოდებელს" საქონლის ღირებულება;

–მიიღოს ზემოთ აღნიშნული საქონელი.

5.2. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

–„მიმწოდებლის" მიზეზით სახელშეკრულებო ვადების დარღვევის შემთხვევაში გააუქმოს ხელშეკრულება არ მიიღოს საქონელი და არ აუნაზღაუროს „მიმწოდებელს" გაწეული ხარჯები, თუ მისი ხარისხი არ შეესაბამება სათანადო სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

–გადასცეს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი დადგენილ ვადებში.

–დაიცვას ხელშეკრულების ყველა მოთხოვნა.

5.4. „მიმწოდებელს" უფლება აქვს:

–მოსთხოვოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

### 6. ხელშეკრულების მოცულობა და საერთო ღირებულება.

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულების მოცულობა განსაზღვრულია: **833 (რვაასოცდაცამეტი) ლარით და 75 თეთრით.**

### 7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმად მხარეები ირჩევენ: უნაღდო, ანგარიშსწორებას.

7.2. ანგარიშსწორება ხორციელდება საქონლის მიწოდების შემდგომ და მისი შესრულების, (მოთხოვნის) საფუძველს წარმოადგენს ხელშეკრულების **4.1. პუნქტის პირობის შესრულება.**

### 8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას.

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, საქონელი მიწოდების ვადების „მიმწოდებლის" მიზეზით დარღვევის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული კვირისათვის „მიმწოდებელს" ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,2%–ის ოდენობით.

8.2. იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება „შემსყიდველს" მიწოდებული საქონლის ღირებულების „მიმწოდებლისათვის" დაგვიანების შემთხვევაში.

### 9. ფორს–მაჟორული სიტუაციები.

9.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიაანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით,რომორიცაა წყალდიდობა,მიწისძვრა და სხვა მოვლენები,აგრეთვე ომები და სხვა საომარი მოქმედებები.

9.2.ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

9.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება ადეკვატური საქონლის მიწოდების ან გადახდილი ღირებულების მოთხოვნის უფლებით.

9.4. მხარე რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი.

11.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით, ასეთის მიუღწევლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულებაზე ორივე მხარის ხელმოწერის დღიდან და ძალაშია: **2011წლის 31 ოქტომბრამდე.**

12.2 ხელშეკრულების ვადის გასვლა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოქმედების ვადაში წარმოშობილი ურთიერთ ვალდებულებებისაგან.

13. სხვა პირობები

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი გაფორმდება წერილობით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა მიერ.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები.

14.1. „შემსყიდველი"-თელავის იაკობ გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ს.ნ. 231187168, ქ. თელავი ქართული უნივერსიტეტის ქ. №1. ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი: **BAGAGE22 . ანგ. № GE90BG0000000444630700.**

14.2. „მიმწოდებელი"– შ.პ.ს. „თელავი ჯგუფი" , ს/ნ. 231289496. ქ. თელავი, ალაზნის გამზირი № 4. თიბისი ბანკის თელავის ფილიალი, ბანკის კოდი: 220101824, ანგ. № **GE73TB0993936020100005.**

„შემსყიდველი"

/ ჰამლეტ რაზმაძე /

„მიმწოდებელი"

/ გოდერძი მამუკელაშვილი /